ხელშეკრულება
სახელმწიფოშესყიდვის შესახებ N 50

ქ. თბილისი 1 დეკემბერი 2014 წელი

ერთის მხრივ,სსიპმიხეილ გრუშევსკის სახელობის ქ. თბილისის N41 საჯარო სკოლა, დირექტორის რევაზ ჯავახიშვილის სახით, შემდგომში „შემსყიდველი" (ლიბერთი ბანკის ვაკის ფილიალი-220101480; საიდენტიფიკაციო კოდი 202065969; ანგარიშის NGE48LB0121114661424001; ქ. თბილისი, აბაშიძის ქ 15 ; ტელ: 2 25 09 28) და
მეორეს მხრივ, შპს "საგამომცემლო- სარეკლამო კომპანია საუნჯე" დირექტორის [illegible] სახით შემდგომში „მიმწოდებელი", საქართველოს ბანკი BAGAGE22 ანგარიშის #GE59BG0000000210646500 ქ. თბილისი ქუთათელაძის #8

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1 პუნქტის „ს1" ქვეპუნქტის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის საშუალებით

ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია წიგნების დაბეჭდვა (CPV კოდი 22100000) ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

2.შესყიდვის ობიექტი

2.1შესყიდვის ობიექტს შეადგენს წიგნების ბეჭდვა რაოდენობა 12, ერთეულის ღირებულება 41 ლარი, საერთო ღირებულება 492 ლარი

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში;

3.2შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 492 (ოთხას ოთხმოცდა თორმეტი) ლარს და 00 თეთრი.

4.შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

4.1შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადად განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 10 სამუშაო დღე;

4.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია ქ.თბილისი. აბაშიძის ქ.N15;

4.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, „მიმწოდებელი" ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის მიწოდება შემსყიდველისათვის.

5.ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

5.1 ანგარიშსწორება განხორციელდეს უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში;

5.2ანგარიშსწორება „შემსყიდველი"-ს მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტისა და თანმხლები დოკუმენტაციის მიწოდებიდან არაუმეტეს 10 სამუშაო დღის

ვადაშიმომწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

**6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი**

6.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება „შემსყიდველისა" და „მიმწოდებელის" მიერ, ან საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერებით;

**7.შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტიები**

7.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

**8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი**

8.1 „შემსყიდველს" უფლება აქვს:

8.1.1 შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

8.2 „შემსყიდველი" ვალდებულია:

8.2.1მოახდინოს ანგარიშსწორება „მიმწოდებელთან" ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

8.3 „მიმწოდებელს" უფლება აქვს:

8.3.1 მოსთხოვოს „შემსყიდველს" შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

8.4 „მიმწოდებელი" ვალდებულია:

8.4.1 მიაწოდოს „შემსყიდველს" ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 5 სამუშაო დღეში.

8.4.2 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

**9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას**

9.1 მხარების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

9.2 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;

9.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის, ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,1 %-ის ოდენობით.

**10. ხელშეკრუკების შესრულებაზე კონტროლი**

10.1 ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე კონტროლი „შემსყიდველის" მხრიდან

განახორციელოს ნდობით აღჭურვილმა პირმა რამაზ წიკლაურმა.

**11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი**

11.1 მხარეთა შორის წარმოქმნილი ყველა დავა გადაწყდება მხარეთა ერთობლივი მოლაპარაკების საფუძელზე;

11.2 მხარეთა შორის შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავა გადაწყდება სასამართლო წესით.

**12. ხელშეკრულების მოქმედების ვადები**

12.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2014 წლის 31 დეკემბრამდე.

**13. მხარეთა ხელმოწერა**

„შემსყიდველი“

სსიპ მ. გრუშევსკის სახელობის ქ.თბილისის 41 საჯარო სკოლის დირექტორი:

რევაზ ჯავახიშვილი

„მიმწოდებელი“

შპს “საგამომცემლო- სარეკლამო კომპანია საუნჯე“-ს

დირექტორი